წერილის ნომერი:**18-0119064744**
თარიღი: **05/03/2019**

ადრესატი:
თეიმურაზ ბოლოთაშვილი
სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური-სამსახურის უფროსი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა (შემდგომში მოხსენებული, როგორც „სამსახური“) განიხილა, თქვენი 2019 წლის 31 იანვრის N17-01190311370-18 წერილი და თანდართული, მოქალაქე გიორგი სალთხუციშვილის მიერ წარმოდგენილი, შპს „საგის“ საკუთრებაში არსებული სამშენებლოდ გამოსაყენებელი ტერიტორიის (ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი, ლილოს ბაზრობასა და მდ. ლოჭინს შორის (ნაკვეთი: 03/009) ს.კ.: 01.19.13.003.048; AR1654620; II კლასი, მაღაზია, ფუნქციური ზონა: რზ-2; რზ-3) გამწვანების პროექტი.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი გამწვანების პროექტის თანახმად, ტერიტორიაზე პროექტით გათვალისწინებული დასარგავი 6 ძირი იტალიური ფიჭვი და 6 ძირი კავკასიური ცაცხვი ვერ ითვისებს კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობს (384.55 კვ.მ= რზ-3-0.5 ;რზ-2 0.8)

განმცხადებელმა დასარგავი მწვანე ნარგავების სახეობა უნდა აარჩიოს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის #05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან(გარდა შავი და ელდარის ფიჭვების, ასევე კვიპაროსის სახეობების ხეებისა). ვინაიდან, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და მის შემოგარენში, ელდარისა და შავი ფიჭვის სახეობებში მასობრივად არის გავრცელებული მავნებლებით გამოწვეული დაავადებები, რაც იწვევს მათ დაზიანებასა და ხმობას, შესაბამისად, დაავადების გავრცელების ან/და ახალი კერების წარმოქმნის პრევენციის მიზნით, სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია გამწვანების პროექტში აღნიშნული სახეობების გამოყენება.

განმცხადებელმა გამწვანების პროექტში უნდა გაითვალისწინოს დიდი ზომის ვარჯის მქონე წიწვოვანი ან/და ფოთლოვანი ხეები (ფოთლოვანის დარგვის შემთხვევაში ნერგის სიმაღლე უნდა იყოს არანაკლებ 3.5 მეტრი, ხოლო, წიწვოვანის შემთხვევაში-არანაკლებ 3 მეტრი (ნერგის გარშემოწერილობა არანაკლებ - 20 სანტიმეტრი)). მცენარეების რაოდენობა უნდა განისაზღვროს შემდეგი პროპორციით-10-12 კვ. მეტრი 1 ძირი მცირე ზომის ვარჯის მქონე ხეებისათვის, ხოლო 20-25 კვ. მეტრი დიდი ვარჯის მქონე წიწვოვანი და ფოთლოვანი ხეებისთვის.

შესაბამისად, სამსახური გამწვანების პროექტს განიხილავს აღნიშნული ხარვეზის გამოსწორების შემდეგ.

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)